

კინგსის მათემატიკის ოლიმპიადა I ტური

მე-7 კლასი

- 810-ის $\frac{4}{15}$ არის:
A. 54 B. 162 C. 216
- რიცხვი 12-ზე გაყოფისას ნაშთს გვაძლევს 5-ს. რა ნაშთს მოგვცემს იგივე რიცხვი 3-ზე გაყოფისას?
A. 5-ს B. 2-ს C. 0-ს, ანუ გაიყოფა
- მოცემულია რიცხვები: 33; 15; 21; 46; 63; 14 . რას უდრის მოცემული რიცხვების საშუალო?
A. 32 B. 21 C. 27
- რამდენი ამონახსნი აქვს ნაგურალურ რიცხვებში უტოლობას $218 < x \leq 256$?
A. 37 B. 40 C. 38
- მართკუთხედი, რომლის გვერდებია 8სმ და 12სმ გაჭრეს ორ ტოლ მართკუთხედად. რისი ტოლი შეიძლება იყოს მიღებული პატარა მართკუთხედის პერიმეტრი?
A. 32 B. 26 C. 30
- ქვემოთ მოცემული რიცხვებიდან რომელს აქვს ყველაზე მეტი განსხვავებული მარტივი გამყოფი?
A. 128 B. 288 C. 210
- რას უდრის საათის და წუთების მაჩვენებელ ისრებს შორის კუთხე 4სთ-ზე?
A. 120° B. 135° C. 150°
- ტოლგვერდა სამკუთხედის პერიმეტრი 36სმ-ის ტოლია. იპოვეთ კვადრატის ფართობი, რომლის გვერდი მოცემული სამკუთხედის გვერდის ტოლია.
A. 48 B. 144 C. 36
- ლაშას ხელფასი 25%-ით გაეზარდა, ნახევარ წელიწადში კი კიდევ 25%-ით გაეზარდა. რამდენი პროცენტით გაეზარდა ხელფასი თავდაპირველთან შედარებით?
A. 125% B. 50.75% C. 56.25%
- გამოთვალეთ: $99 \cdot (59 - 29) + (14 + 17 - 1) \cdot 101$
A. 2970 B. 6000 C. 3030